შპს „რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია“ (ს/კ 404409920)

2023 წლის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს „რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია“-ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3; 6

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 4; 7

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 4; 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 5; 9

ფინანური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ..... 10÷19

შ.პ.ს. "რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია" (ს/კ 404409920)

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

		ლარი 31.12.2023	ლარი 31.12.2022	ლარი 01.01.2022
		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	5,447,855.58	747,144.38	204,084.18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,198,589.60	452,154.71	262,174.55
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		325,896.00	396,255.03	979,555.50
მარაგები				
- მზა პროდუქცია				
- სხვა	7	1,017.37	2,665.22	266.95
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	209,795.82	199,514.67	105,261.76
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		**7,183,154.37**	**1,797,734.01**	**1,551,342.94**
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	11	5,054,944.78	159,556.19	66,521.48
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები			1,053.43	15,473.57
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		10,744,041.70	10,744,041.70	10,744,041.70
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები		15,798,986.48	10,904,651.32	10,826,036.75
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	13	(8,615,832.11)	(9,106,917.31)	(9,274,692.81)
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი		(8,615,832.11)	(9,106,917.31)	(9,274,692.81)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**7,183,154.37**	**1,797,734.01**	**1,551,343.94**

შ.პ.ს. "რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია" (ს/კ 404409920)

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

		ლარი 31.12.2023 საანგარიშგებო პერიოდი	ლარი 31.12.2021 წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები			3,626,646.02
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან	6	9,710,046.67	3,626,646.02
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
გაყიდვების თვითღირებულება		(7,507,778.21)	(1,311,151.17)
საერთო მოგება		2,202,268.46	2,315,494.85
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,463,380.83)	(1,835,299.43)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	8	(40,410.34)	(32,523.85)
საპროცენტო შემოსავალი			-
საპროცენტო ხარჯი			-
იჯარის ხარჯი		(100,035.65)	(11,836.50)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(92,098.49)	(256,110.12)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,695,925.31)	(2,135,769.90)
საოპერაციო მოგება		506,343.15	179,724.95
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან			
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(15,257.95)	(11,948.45)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		**491,085.20**	**167,776.50**
მოგების გადასახადის ხარჯი	12	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		**491,085.20**	**167,776.50**

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-	-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადაასახდელიანი პროგრამები).			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		**491,085.20**	**167,776.50**
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		**491,085.20**	**167,776.50**

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		(9,106,917.31)	(9,274,693.81)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვ		-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		491,085.20	167,776.50
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		**(8,615,832.11)**	**(9,106,917.31)**

შ.პ.ს. "რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია"

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

		ლარი 31.12.2023	ლარი 31.12.2022
		საანგარიშგებო პერიოდი	**წინა საანგარიშგებო პერიოდი**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		4,748,106.99	669,836.96
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(47,395.79)	(126,776.76)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		4,700,711.20	543,060.20
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		747,144.38	204,084.18
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10	**5,447,855.58**	**747,144.38**

ფინანსურ ანგარიშგებაზე უფლებამოსილი პირი

ლი კლიფორდი

RAPID SOLUTIONS GEORGIA LLC * RAPID SOLUTIONS * 404409920 * შპს რაფიდ სოლუშენზ

შ.პ.ს. "რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია" (ს/კ 404409920)

31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ლარი

		2023წელი		2022 წელი	
აქტივები					
ფულადი აქტივები:	10		**5,447,855.58**		**747,144.38**
ლარი		3,116,042.47		444,068.21	
აშშ დოლარი		18,452.35		253,999.59	
ფუნტი		17,337.34		144.95	
ევრო		2,296,023.42		48,931.63	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	9				
სავაჭრო მოთხოვნები:			**798,277.04**		**452,154.71**
ლარი		749,374.53		363,601.00	
აშშ დოლარი, ევრო და ფუნტი		48,902.51		88,553.71	
გადახდილი ავანსები			**400,312.56**		**396,255.03**
სხვა მოთხოვნები			**325,896.00**		
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7		**1,017.37**		**2,665.22**
გრძელვადიანი აქტივები:	8		**209,795.82**		**199,514.67**
ძირითადი საშუალებები, ღირ-ბა		494,653.84		500,080.84	
დაგროვილი ცვეთა		(284,858.02)		(300,566.17)	
სულ აქტივები:			**7,183,154.37**		**1,797,734.01**
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	11		**5,054,944.78**		**159,556.19**
სხვა მოკლ.ვალდებულებები					**1,053.43**
მიმდინარე სასესხო ვალდებულება			**10,744,041.70**		**10,744,041.70**
სულ ვალდებულებები			**15,798,986.48**		**10,904,651.32**
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი					
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	13		**(8,615,832.11)**		**(9,106,917.31)**
სულ კაპიტალი			**(8,615,832.11)**		**(9,106,917.31)**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები			**7,183,154.37**		**1,797,734.01**

ფინანსურ ანგარიშგებაზე უფლებამოსილი პირი

ლი კლიფორდი

RAPID SOLUTIONS GEORGIA LLC
RAPID SOLUTIONS
404409920
რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია

შ.პ.ს. "რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია" (ს/კ 404409920)

31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის საქმიანობის შედეგის ანგარიშგება, ლარი

		2023წელი				2022წელი			
ები მომსახურების რეალიზაციიდან	6				**9,710,046.67**				**3,626,646.02**
ი მარაგები				2,665.22				266.95	
ვები				7,506,130.36				1,313,549.44	
ოო მარაგები				**(1,017.37)**				**(2,665.22)**	
ი მომსახურების თვითღირებულება					(7,507,778.21)				(1,311,151.17)
ი მოგება					**2,202,268.46**				**2,315,494.85**
სტრაციული ხარჯი:				(1,637,550.50)				(1,904,664.26)	
ვასო ხარჯი			(1,463,380.83)				(1,835,299.43)		
ო ხარჯი			(100,035.65)				(11,836.50)		
და ამორტიზაცია	8		(40,410.34)				(32,523.85)		
ლური ხარჯი			(15,643.24)				(8,191.36)		
ვაციის ხარჯი			(14,560.90)				(11,976.17)		
ის ხარჯი:			(3,519.54)				(4,836.95)		
ნქანის რემონტის ხარჯი		(3,259.34)				(4,074.17)			
ინვენტარის რემონტის ხარჯი		(260.20)				(762.78)			
რჯები:				(58,374.81)				(231,105.64)	
ვის ხარჯი			(25,133.63)				(7,050.18)		
ლარიო ხარჯი			(3,865.19)				(2,240.09)		
ომსახურებისა და სხვა საოპერაციო ხარჯები			(29,375.99)				(221,815.37)		
ური დანახარჯები				-				-	
ოპერაციო ხარჯი					(1,695,925.31)				(2,135,769.90)
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი					(15,257.95)				(11,948.45)
ანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი					**491,085.20**				**167,776.50**
ის გადასახადი	12				-				-
მოგება/ზარალი					**491,085.20**				**167,776.50**

ურ ანგარიშგებაზე უფლებამოსილი პირი
ციფორდი

RAPID SOLUTIONS GEORGIA LLC
RAPID SOLUTIONS
404409920
შპს "რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია"

შ.პ.ს. "რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია" (ს/კ 404409920)

31 დეკემბერს დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება, ლარი

		საწესდებო კაპიტალი	ძირით. საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი, 2022წ. 1 იანვრისათვის		-	-	(9,274,693.81)	(9,274,693.81)
პარტნიორის შემოსვლა/გასვლა					-
წმინდა მოგება/წმინდა ზარალი				167,776.50	167,776.50
დივიდენდის განაწილება				-	-
გადაფასების რეზერვი			-		
ნაშთი, 2022წ. 31 დეკემბრისათვის		**-**	**-**	**(9,106,917.31)**	**(9,106,917.31)**
ნაშთი, 2023წ. 1 იანვრისათვის		-	-	(9,106,917.31)	(9,106,917.31)
პარტნიორის შემოსვლა/გასვლა		-			-
წმინდა მოგება/წმინდა ზარალი	13			491,085.20	491,085.20
დივიდენდის განაწილება				-	-
გადაფასების რეზერვი			-		
ნაშთი, 2023წ. 31 დეკემბრისათვის		**-**	**-**	**(8,615,832.11)**	**(8,615,832.11)**

ფინანსურ ანგარიშგებაზე უფლებამოსილი პირი

ლი კლიფორდი

RAPID SOLUTIONS GEORGIA LLC
RAPID SOLUTIONS
404409920
შპს რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია

შ.პ.ს. "რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია" (ს/კ 404409920)

31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ლარი

		2023წ.	2022წ.
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
წმ.მოგება	13	491,085.20	167,776.50
ცვეთა და ამორტიზაცია	8	40,410.34	32,523.84
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
მარაგების ზრდა/შემცირება	7	(1,647.85)	(2,398.27)
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა/შემცირება		(746,434.89)	(189,980.16)
გადახდილი ავანსების ზრდა/შემცირება		70,359.03	583,300.47
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/შემცირება		4,895,388.59	93,034.72
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/შემცირება		(1,053.43)	(14,420.14)
მიმდინარე სასესხო ვალდებულების ზრდა/შემცირება		-	
წმ.ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**4,748,106.99**	**669,836.96**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(47,395.79)	(126,776.76)
წმ.ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(47,395.79)**	**(126,776.76)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:		-	-
წმ.ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა		**4,700,711.20**	**543,060.20**
ფული და ფულის ექვივალენტი წლის დასაწყისში		**747,144.38**	**506,572.77**
ფული და ფულის ექვივალენტი წლის ბოლოს	10	**5,447,855.58**	**747,144.38**

ფინანსურ ანგარიშგებაზე უფლებამოსილი პირი

ლი კლიფორდი

RAPID SOLUTIONS GEORGIA LLC * RAPID SOLUTIONS 404409920 შპს "რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია"

შპს "რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ანგარიშგების წარმდგენის საწარმო

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად საქართველოში მოქმედი კომპანიებისათვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

ორგანიზაცია და ოპერაციები

„რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია“ (ს/კ 404409920) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულ იქნა 21.10.2011წელს. კომპანიის 100% წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “რაფიდ სოლუშენზ”, 3322771, 0106-P272-47193 (აზერბაიჯანი, 21.11.2006). კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, გუდიაშვილის მოედანი N4. (ფაქტობრივი: ქ. თბილისი, კოსტავას 37/39). მისი ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს: ელექტრული მოწყობილობების რემონტი და ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები საოპერაციო კომპანიებთან: „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მილსადენი კომპანია (საქრთველო)“; „სამხრეთ კავკასიის მილსადენი კომპანია ლიმიტედი საქართველო“-სა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის მონაწილის შპს „სოკარ მიდსთრიმ ოპერეიშენს-საქართველოს ფილიალი“-ს კონტრაქტორი.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2001 წლის 19 დეკემბერს #1202-Iს დადგენილებით რადიფიცირებული „სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის საშუალებითა და საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზისა და ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ძირითადი საექსპოტო მილსადენით ნავთობის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ“ ხელშეკრულების დანართის „ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი მთავრობასთან“ თანახმად, და #1 და მე-14 მუხლის თანახმად, „ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მილსადენის კომპანია (საქართველო)“, „სამხრეთ კავკასიის მილსადენი კომპანია ლიმიტედი საქართველო“ და აგრეთვე სამხრეთკავკასიური გაზის მილსადენის პროექტის მონაწილენი და მისი კონტრაქტორები (როგორც შპს „რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია“) სარგებლობენ დადგენილი საბაჟო და საგადასახდო შეღავათებით.

2. აღრიცხვის საფუძვლები

შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო

საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდრტების (IFRS for SMEs) შესაბამისად.

კომპანია არ ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ფასს 10-ზე (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება) დაყრდნობით, რადგან ის წარმოადგენს სხვა საწარმოს 100% საკუთრებაში არსებულ კომპანიას და მისი მესაკუთრენი ინფორმირებულნი იყვნენ და არ გამოუხატავთ წინააღმდეგობა იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანია არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოში ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამადროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ლარშია წარმოდგენილი აგრეთვე ყველა ფინანსური ინფორმაცია და არაა დამრგვალებული.

4. შეფასებისა და მსჯელობის გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფსებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების დროს განხორციელებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ ოდენობაზე, არის შეფასება იმისა, რომ დღიდან დაარსებისა დღემდე კომპანიის ძირითადი საქმიანობა უკავშირდება ელექტრონული მოწყობილობების რემონტსა და ელექტროტქნიკური და სამონტაჟო სამუშაოებს სამ მსხვილ საოპერაციო კომპანიასთან: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან; სამხრეთკავკასიური გაზის მილსადნსა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენთან.

5. სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამოდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტება საჭიროებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას კომპანია შესაძლებლობისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. შედეგად, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ზემოთაღნიშნული ინსტრუმენტების უმეტესობის მოკლევადიანობის გამო.

6. ამონაგების აღიარება

საანგარიშგებო პერიოდში შპს „რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია“-ს ამონაგებს წარმოადგენს, ამონაგები მომსახურების გაწევიდან, მიღებული საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა, რომელიც მიღებულ იქნა საწარმოს ჩვეული საქმიანობის პროცესიდან და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, ეს უკანასკნელი განპირობებული არ არის საწარმოს მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირებით.

ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით შპს „რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია“-ს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობისა და ასევე ვადაზე ადრე გათვალისწინებით.

ამონაგები აღიარდებულია მყიდველზე გაწეული მომსახურების შესაბამისად. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

7. მარაგები

შპს „რაფიდ სოლუშენზ ჯორჯია“-ს მარაგები წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან და მომსახურების გასაწევად. აღნიშნული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის, კომპანია იყენებს „ფიფო“ (პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში).

	31 დეკემბერი 2023წ.	31 დეკემბერი 2022წ.
მარაგები:	**1,017.37**	**2,665.22**
- ნედლეული და მასალები	1,017.37	2,665.22
- დაუმთავრებელი წარმოება	-	-
- მზა პროდუქცია	-	-

8. ძირითადი საშუალებები

კომპანია არ ფლობს საინვესტიციო ქონებას, რომელსაც გამოიყენებდა საიჯარო შემოსავლის მიღების ან/და კაპიტალის ღირებულების ზრდის (ან ორივე) მიზნებისათვის.

კომპანიის ძირითადი საშუალებები, რომლებიც არ კლასიფიცირდება საინვესტიციო ქონების სახით, წარდგენილია წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თვითღირებულებით, რომელშიც არ არის ჩართული ყოველდღიური შეკეთებისა და მოვლის ხარჯები და რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების თანხებით.ძირითადი საშუალებების თავდაპირველი თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობასი მოყვანას. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით, მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვისას გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

მსუბუქი ავტომობილები	20%
ელექტრო მოწყობილობები	20%

საოფისე ინვენტარი და ტექნიკა	20%
აქტივები გამოყენების უფლებით	15%

	მსუბუქი ავტომანქანები	ელ.მოწყობილობები	საოფისე ინვენტარი და ტექნიკა	აქტივი გამოყენების უფლებით	სულ
თვითღირებულება					
1 იანვარი 2022 წ.	298,716.95	35,932.56	38,654.57	-	373,304.08
შემოსვლა	-	-	5,878.81	120,897.95	126,776.76
გადაფასება	-	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022წ.	298,716.95	35,932.56	44,533.38	120,897.95	500,080.84
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2022 წ.	217,233.52	27,409.83	23,398.97	-	268,042.32
ცვეთის დარიცხვა	16,296.72	4,458.30	1,704.60	10,064.23	32,523.85
გადაფასება	-	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022წ.	233,530.24	31,868.13	25,103.57	10,064.23	300,566.17
წმ.საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022წ.	**65,186.71**	**4,064.43**	**19,429.81**	**110833.72**	**199,514.67**
თვითღირებულება					
1 იანვარი 2023წ.	298,716.95	35,932.56	44,533.38	120,897.95	500,080.84
შემოსვლა	-	2,753.70	6,932.58	48,956.95	58,643.23
გადაფასება	-	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	(53,872.28)	-	(10,197.95)	-	(64,070.23)
31 დეკემბერი 2023წ.	244,844.67	38,686.26	41,268.01	169,856.95	494,653.84
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2023წ.	233,530.24	31,868.13	25,103.57	10,064.23	300,566.17
ცვეთის დარიცხვა	13,037.40	1,363.56	3,913.48	22,095.90	40,410.34
გადაფასება	-	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	(47,846.77)	-	(8,271.72)	-	(56,118.49)
31 დეკემბერი 2023წ.	198,720.87	33,231.69	20,745.33	32,160.13	284,858.02
წმ.საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023წ.	**46,123.80**	**5,454.57**	**20,522.68**	**137,694.77**	**209,795.82**

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარება წყდება მისი გაყიდისთანავე ან როდესაც მისი გამოყენების შედეგად მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი შეტანილია იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები, როგორიცაა შეკეთებისა და შენახვის ხარჯები, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.

არამატერიალური აქტივები

კომპანიას არ ფლობს არამატერიალ აქტივებს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ის აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზაცია კი მოხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამტერიალური აქტივების (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში) განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობსა შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის ან ანალოგიური ერთეულის ჯგუფის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის ან მსგავსი აქტივების ჯგუფის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევა, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან

მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მთკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების შემთხვევაში, გაუფასურების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლოვ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

	31 დეკემბერი 2023წ.	31 დეკემბერი 2022წ.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	**1,241,730.05**	**1,241,730.05**
-სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,198,589.60	452,154.71
-სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	325,896.00	396,255.03

10. ფულდი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მაღალლიკვიდური აქტივების - ფულადი სახსრების ნაშთებს.

	31 დეკემბერი 2023წ.	31 დეკემბერი 2022წ.
ფულდი სახსრები და მათი ეკვივალენტები:	**5,447,855.58**	**747,144.38**
- ნაღდი ფული	-	-
- ფულადი სახსრები ბანკში	5,447,855.58	747,144.38

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023წ.	31 დეკემბერი 2022წ.
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**15,798,986.48**	**10,904,651.32**
- სავაჭრო ვალდებულებები	5,054.944.78	159,556.19
- ანარიცხები	-	-
- ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-
- საგადასახადო ვალდებულებები	-	1,053.43
- გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
- მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	10,744,041.70	10,744,041.70

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხებათ. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული საჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს სამუშაო ფულად ვალუტაში (ფულად ერთეულში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

მოკლევადიანი ნასესხები სახსრები მოიცავს პარტნიორის უპროცენტო სესხს (SPPI Test, რომლის პირობები ითვალისწინებს სესხის ძირითადი თანხის დაფარვას მოთხოვნის შესაბამისად) და 2023წ. 31 დეკემბრისათვის შეადგენს 10,744,041.70 ლარს.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები და საშუალო წლიური რაოდენობა

	31 დეკემბერი 2023წ.	31 დეკემბერი 2022წ.
სახელფასო ვალდებულება წლის დასაწყისში	-	-
წლის განმავლობაში დარიცხული სახელფასო ვალდებულება	1,463,380.83	1,835,299.43
წლის განმავლობაში სულ ანაზღაურებული ვალდებულება	(1,428,929.04)	(1,835,299.43)
სახელფასო ვალდებულება წლის ბოლოს	-	-

საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 16 კაცს, საიდანაც 3 ქალია.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი დარიცხვის მიხედვით, აქტივის ან ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

სესხის ორგანიზების, მომსახურების და სხვა ხარჯები, რომლებიც მიიჩნევა სესხის მთლიანი მომგებიანობის განუყოფელ ნაწილად, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, გადავადდება და ამორტიზირდება საპროცენტო შემოსავალზე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის მხედვით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სხვა შემოსავალი აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იქნება გაწეული.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია თავდაპირველად აღიარებს სესხებს და მოთხოვნებს და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს მათი წარმოშობის თარიღისათვის

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების კატეგორიას განეკუთვნებიან, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელთა კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი გარიგების ცარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს სამრატლიანი ღირებულებით. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას ამჟამად აქვს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს აღიარებული ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე. კომპანიას ამჟამად არ გააჩნია ურთიერთგადაფარვის იურიდიული აღსრულებადი უფლება.

12. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასადები აღიარდება მოგებაში, ან ზარალში გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ცნობილი მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელწოდებით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან განთავისუფლებას, ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ ძირითადი დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდის სახით გაცემულ მოგებად. ამასთანავე საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდის გადახდიდან წარმოშობილის მოგების გადასახადი აღირიცება როგორც ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

იჯარა

კომპანია აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისათვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი

პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გადატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები, სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო სტიმულირება.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით" ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა, როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას კომპანიას იჯარის ვადის ბოლომდე, ან იმ შემთხვევაში თუ „აქტივი გამოყენების უფლებით" თვითრირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით" ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადაი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით" პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებით.

საიჯარო ვალებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულებების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია თუ კომპანია შეცვლის შეფასებას იმისა, გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადახდილი არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

როდესაც საიჯარო ვალდებულებები მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით" საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ „აქტივი გამოყენების უფლებით" შწმცირებულია ნულამდე. კომპანია მის „აქტივებს გამოყენების უფლებით", რომლებიც არ აკმაყოფილებენ „საინვესტიციო ქონების" განმარტებას, „ძირითადი საშუალებების" კატეგორიაში, ხოლო საიჯარო ვალდებულებებს „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების" კატეგორიაში აკლასიფიცირებს.

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარაზე და მოკლევადიან იჯარაზე. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯების სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის თარიღი

ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები რომლებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

პირობითი ვალდებულებები

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია არ მონაწილეობს სასამართლო დავებში. საანგარიშგებო თარიღისათვის არ მიმდინარეობს რაიმე მნიშვნელოვანი სასამართლო დავა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებად იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტირებისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების დამკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამკიცებულია და გაცემისთვის ნებადართულია 2024 წლის 31 მარტს, შედგენილია ცხრამეტ გვერდზე.

ფინანსურ ანგარიშგებაზე უფლებამოსილი პირი

ლი კლიფორდი

RAPID SOLUTIONS GEORGIA LLC
RAPID SOLUTIONS
404409920